[redacted] [redacted]

საზმაუს სამეურვეო საბჭო

[redacted]

To:Parliament of Georgia <contact@parliament.ge>;

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-5359/26
«04» 06 2026 ფურცელი 6

5 attachments (7 MB)

30397.jpg; 30398.jpg; 30466.jpg; 30396.jpg; Davit_Kartvelishvili_CV_.pdf;

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2026 წლის 2 ივნისის #1/131/26 ბრძანების მოთხოვნის თანახმად, გთხოვთ განიხილოთ ჩემი კანდიდატურა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის ვაკანსიაზე

პატივისცემით,
დავით ქართველიშვილი

ამასთან დაკავშირებით, გეგზავნებათ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ჩემი კონცეფცია და დოკუმენტები:

1) კონცეფცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში ჩემი წარდგენა არ არის მხოლოდ კონკრეტული თანამდებობის შევსების შესაძლებლობა, არამედ პირველ რიგში მედიასივრცეში დაგროვებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ინსტიტუტებს შორის, რომელიც ვალდებულია იმუშაოს არა მთავრობის, ოპოზიციის, ბიზნესის ან კონკრეტული ჯგუფების, არამედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ, სამეურვეო საბჭოს როლი არ არის არხის ოპერაციული მართვა, არამედ მისი დამოუკიდებლობის, მდგრადობისა და საზოგადოებრივი მისიის განმტკიცება და დაცვა.

სამეურვეო საბჭოს მიმდინარე პროგრამული პრიორიტეტებისა და მანდატის შესწავლის შემდეგ, დავასკვენი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მომდევნო წლებში სამი ძირითადი გამოწვევის წინაშე დგას:

☑ პირველი გამოწვევა - საზოგადოების ნდობის განმტკიცებაა. სოციალური მედიისა და ინფორმაციის პოლარიზაციის ეპოქაში ნდობა ნებისმიერი მედიასაშუალების ყველაზე მნიშვნელოვან აქტივად იქცევა. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა დარჩეს პლატფორმად, სადაც მაყურებელს შეუძლია მიიღოს გადამოწმებული, პროფესიონალური და დაბალანსებული ინფორმაცია, მათი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად.

☑ მეორე გამოწვევაა - "კონტენტის" ხარისხისა და მრავალფეროვნების გაუმჯობესება. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია ასახოს ქართული საზოგადოების სრული მრავალფეროვნება: კულტურა, განათლება, მეცნიერება, სპორტი, ისტორია, რეგიონული საკითხები, ახალგაზრდობის საკითხები, ეროვნული უმცირესობები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობენ ცოდნას, კრიტიკულ აზროვნებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

☑ მესამე გამოწვევა - ციფრული ტრანსფორმაციაა. დღეს ახალგაზრდა თაობა სულ უფრო ხშირად იღებს ინფორმაციას არა ტელევიზიიდან, არამედ ციფრული პლატფორმების მეშვეობით. ამიტომ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეფექტურობა უნდა გაიზომოს არა მხოლოდ სატელევიზიო რეიტინგებით, არამედ მისი ციფრული ანალოგის ხარისხით, ახალ პლატფორმებზე "კონტენტის" აქტუალურობით და ახალგაზრდებთან თანამედროვე ენაზე საუბრის უნარით.

სამეურვეო საბჭოში წევრად არჩევის შემთხვევაში, ჩემს საქმიანობაში რამდენიმე ძირითადი პრინციპით ვიხელმძღვანელებ:

👉 პირველი - ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელო მაქსიმალური დამოუკიდებლობით და ობიექტურობით.

👉 მეორე - საბჭოს მუშაობის შესახებ, მაქსიმალური გამჭვირვალობით და საზოგადოებისთვის ჩვენი საქმიანობის შედეგების შესახებ რეგულარული ინფორმირებით.

👉 მესამე - გაზომვად შედეგებზე ფოკუსირებით. ნებისმიერი პროგრამული პრიორიტეტი უნდა შეფასდეს არა მიღებული დოკუმენტების რაოდენობით, არამედ მათი რეალური გავლენით მაუწყებლობის ხარისხზე და

საზოგადოების ნდობის დონეზე.

👉 მეოთხე - ჟურნალისტების პროფესიული სარედაქციო დამოუკიდებლობის პატივისცემა. ძლიერი საზოგადოებრივი მაუწყებელი შეუძლებელია სარედაქციო თავისუფლებისა და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვის გარეშე.

და მთავარი: დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის საკითხი აღარ დგას მხოლოდ სხვა ტელეარხებთან კონკურენციის ჭრილში - მთავარი გამოწვევა ადამიანის ყურადღებისთვის ბრძოლაა. ახალგაზრდობა აღარ ცხოვრობს სატელევიზიო ბადის რეჟიმით: ინფორმაციას იღებს სოციალური ქსელებიდან, ვიდეოპლატფორმებიდან, მესენჯერებიდან და მოკლე ფორმატის "კონტენტის" საშუალებით. ამიტომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ამოცანა არ არის ახალგაზრდების ტელევიზორთან დაბრუნება, არამედ თავად მისვლა იქ, სადაც ახალგაზრდობა იმყოფება (პრინციპით: "თუ მთა არ მიდის მუჰამედთან - მუჰამედს შეუძლია მივიდეს მთასთან"). საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარი თავი უნდა აღიქვას არა როგორც ტელეარხმა ექაუნტებით სოციალურ ქსელებში, არამედ როგორც სრულფასოვანმა მულტიმედიურმა პლატფორმამ, სადაც ტელევიზია მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტი იქნება.

აუცილებელია შეიქმნას ახალგაზრდული რედაქცია, რომელიც სპეციალურად ციფრული გარემოსთვის შექმნის "კონტენტს": მოკლე ანალიტიკურ ვიდეოებს, განმარტებით ჟურნალისტიკას, მინი-დოკუმენტურ ფილმებს, პოდკასტებს, საგანმანათლებლო პროექტებს, ისტორიულ და სამეცნიერო-პოპულარულ ფორმატებს. ახალგაზრდა მაყურებელი არ არის მზად, ერთსაათიან ეთერს უყუროს ხუთი წუთის სასარგებლო ინფორმაციის მისაღებად, თუმცა სიამოვნებით ნახავს რთული თემის ხარისხიან სამწუთიან ახსნას. ამასთან, სწორედ საზოგადოებრივ მაუწყებელს შეუძლია შესთავაზოს ის, რაც ხშირად აკლია სოციალურ ქსელებს - ფაქტების გადამოწმება, პროფესიონალური რედაქტირება და პასუხისმგებლობა შინაარსზე.

ცალკე მიმართულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს ახალგაზრდული დისკუსიების მუდმივი პლატფორმა. ახალგაზრდებს სურთ არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება, არამედ მის განხილვაშიც მონაწილეობა. სტუდენტების, ახალგაზრდა მეწარმეების, მეცნიერების, კულტურისა და ტექნოლოგიების სფეროს წარმომადგენლების დებატებს შეუძლია ახალი აუდიტორიის ფორმირება. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები ეკრანზე ხედავდნენ არა მხოლოდ პოლიტიკოსებსა და უფროსი თაობის ექსპერტებს, არამედ საკუთარ თანატოლებსაც, რომლებიც მსჯელობენ მათთვის რეალურად მნიშვნელოვან საკითხებზე - განათლებაზე, დასაქმებაზე, ოჯახის შექმნაზე, დემოგრაფიაზე, საცხოვრებელ პრობლემებზე, ხელოვნურ ინტელექტზე, ციფრულ უსაფრთხოებაზე და კარიერულ პერსპექტივებზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიანი საგანმანათლებლო კონტენტის განვითარებას. მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლები გახდნენ ლიდერები საგანმანათლებლო პროექტების წყალობით. ახალგაზრდებს შეიძლება შესთავაზონ უფასო კურსები უცხო ენების სწავლებაში, ფინანსურ განათლებაში, მეწარმეობაში, პროგრამირებაში, ხელოვნურ ინტელექტში, საქართველოს ისტორიასა და მსოფლიო კულტურაში. ასეთი "კონტენტი" პოლიტიკურ კონიუნქტურაზე დამოკიდებული არ არის, საზოგადოებრივ სარგებელს ქმნის და მაუწყებლის მიმართ გრძელვადიან ნდობას აყალიბებს.

რაც შეეხება საზოგადოების ნდობის აღდგენას ზოგადად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი უპირატესობა უნდა იყოს არა პოლიტიკური დაპირისპირების რომელიმე მხარეზე მონაწილეობა, არამედ მისგან მკაფიო დისტანცირება. იმ პირობებში, როდესაც ბევრი მედიასაშუალება კონკრეტული პოლიტიკური ბანაკების ინსტრუმენტად აღიქმება, საზოგადოებრივ მაუწყებელს შეუძლია დაიკავოს მიუკერძოებელი არბიტრისა და დიალოგის პლატფორმის ადგილი. ამისთვის საჭიროა მაქსიმალურად გამჭვირვალე სარედაქციო სტანდარტები, შეცდომების საჯარო გასწორების პრაქტიკა, ყველა პოლიტიკური ძალის განცხადებების თანაბარი ფაქტობრივი გადამოწმება და საზოგადოებრივი კონტროლის მკაფიო მექანიზმები.

საბოლოოდ, ახალგაზრდობა მიდის არა იქ, სადაც ყველაზე ხმაურიანი გარემოა, არამედ იქ, სადაც უფრო საინტერესო, სასარგებლო და სანდო ატმოსფეროა. თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი შეძლებს თანამედროვე ციფრული ფორმატების, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროდუქტის, ტექნოლოგიური ინოვაციების და სანდო ინფორმაციის წყაროს რეპუტაციის გაერთიანებას - იგი არა მხოლოდ ახალგაზრდული აუდიტორიის ნაწილის დაბრუნებას შეძლებს, არამედ გადაიქცევა ერთ-ერთ იმ იშვიათ ინსტიტუტად, რომელსაც პოლარიზაციისა და საინფორმაციო ქაოსის პირობებში საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერება შეუძლია.

დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს ეროვნული დიალოგის სივრცე, საზოგადოებრივი ნდობის ინსტიტუტი და თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო.
სამეურვეო საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში - ამ როლის გაძლიერებას მივიჩნევ ჩემს მომავალ მისიად.

2) რაც შეეხება ჩემს პირად გამოცდილებას პუბლიცისტიკასა და ჟურნალისტიკაში - 2019 წლიდან დღემდე საქართველოს წამყვან მედიაპლატფორმაზე გამოქვეყნებულია ათასობით ჩემი საავტორო პუბლიკაცია, ხოლო 2022 წლიდან ვარ მედიაპორტალის "საქართველო უპირველეს ყოვლისა" რეზიდენტი-ავტორი

3) დოკუმენტები: